ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №2706-41-E

ქ. თბილისი 29 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის **მარიანა მორგოშიას** სახით (მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18, ტელ: +995 32 2960010, მობ: 598201000 ს/კ: 204582763, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900)

შპს „რიკო“ (შემდგომში - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის ანდრო რაზმაძის სახით (მის: ქ. თბილისი, ტრიკოტაჟის ქ., N3, /ვ.ნინუას ქ., N3; ს/კ: 400184741 ; საბანკო რეკვიზიტები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, კოდი: UGEBGE22 ა/ა GE43VT7000000005643602),

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის N2706 განკარგულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში ექსპორტის ხელშეწყობის (ორგანიზაციის კოდი 24 07 02) 2017 წლის დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის სამუალებით (SMP160003468), ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) ”შემსყიდველსა” და ”მიმწოდებელს” შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს ”შემსყიდველმა” ”მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი/მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

2. ხელშეკრულები საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია 2017 წლის 18-21 სექტემბერს ჩინეთში, ქალაქ სიამენში, **გასამართი საერთაშორისო** საინვესტიციო და სავაჭრო გამოფენის „China International Fair for Investment & Trade (CIFIT 2017)“ **ფარგლებში, სსიპ** „აწარმოე საქართველოში“-ს მიერ ღონისძიების სათანადოდ გამართვისათვის, **საქართველოს საექსპორტო და** საინვესტიციო პოტენციალის წარმოსაჩენად სხვადასხვა სახეობის **ბროშურების ბეჭდვის მომსახურებების** სახელმწიფო შესყიდვა (CPV 79810000)

2.2. **შესყიდვის ობიექტის დასახელება, აღწერილობა, რაოდენობა განისაზღვრება დანართი #1 შესაბამისად.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **5,325.00 (ხუთი ათას** სამას ოცდახუთი) **ლარს.**

3.2. ბეჭდვითი მომსახურებისა და მომსახურების გაწევის შედეგად დასამზადებელი პროდუქციის ერთეულის ფასი მოცემულია დანართ #1-ში.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. გაწეული მომსახურების შედეგად დამზადებული პროდუქციის მოწოდება მიმწოდებლის მიერ განხორციელდება **ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2017 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.**

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18, შემსყიდველი ორგანიზაციის ოფისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება ერთიანად, მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5.4. „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“-ს ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსს **კონსტანტინე მდინარაძეს ან/და შესყიდვების მენეჯერს თათია უშვერიძეს.**

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა. ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ. ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად, მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დოკუმენტის სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებანი

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. გაწეული მომსახურების შედეგად დამზადებული პროდუქციის მოწოდება უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ნაბეჭდი პროდუქტი დამზადებული უნდა იყოს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე (ნაბეჭდი ასოები იკითხებოდეს გარკვევით, კონტურები მკაფიო, ფერები ნათელი, არაბუნდოვანი);

7.1.2. პროდუქციის დამზადებამდე საბოლოო დიზაინი, ტექსტი და ზომები დაადასტურებინოს შემსყიდველ ორგანიზაციას;

7.1.3. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, მათ შორის წუნდებული პროდუქტის შეცვლა ახლით, საკუთარი ხარჯით (ტრანსპორტირების ჩათვლით) ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასეთი ნაკლის აღმოჩენიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის საბეჭდი PDF ფაილების მიწოდება;

7.2.2. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შედეგად დამზადებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას, ხეკშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, „შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი.

8.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

ა. გაწეული მომსახურების შედეგად დამზადებული პროდუქციის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების შედეგად დამზადებული პროდუქციის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, ინსპექტირების აქტის გაფორმება.

გ. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება.

8.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".

8.4. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.02%-ის** ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების **ღირებულების 0.1%,** მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 9.1. და 9.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის გამო შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა 10%-ის ოდენობით.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017** წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

15.2 შემსყიდველი მხარის წარმომადგენელი, ქვემოთ ხელისმოწერით **ადასტურებს**, რომ **მიმწოდებლის** მიმართ სრულად აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
სსიპ „აწარმოე საქართველოში"

დირექტორი
მარიანა მოიგოშია

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი
შპს „რიკო"

დირექტორი
ანდრო რაზმაძე

(ხელმოწერა)

N	დასახელება	აღწერილობა	განზ. ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი	ჯამი
1	ბროშურა Investment Climate & Opportunities in Georgia	ყდის ჩათვლით – 40 გვერდი; ფორმატი – 20X19.5სმ, ყდა: ბეჭდვა – ორმხრივად სრულფერიანი (4+4), ცარცი, გლუვი ცალმხრივი ლამინაცია, შერჩევითი ლაკი; ქაღალდი – 200გრ; შიდა – 170გრ ცარცი; ბეჭდვა CMYK-ის ფერებში 4+4; აკინძვა – სტეპლერით;	ცალი	120	8.50	1,020.00
2	ბროშურა Manufacturing	ყდის ჩათვლით – 24 გვერდი; ფორმატი – 20X19.5სმ, ყდა: ბეჭდვა – ორმხრივად სრულფერიანი (4+4), ცარცი, გლუვი ცალმხრივი ლამინაცია, შერჩევითი ლაკი; ქაღალდი – 200გრ; შიდა – 170გრ ცარცი; ბეჭდვა CMYK-ის ფერებში 4+4; აკინძვა – სტეპლერით;	ცალი	120	5.75	690.00
3	ბროშურა Logistics	ყდის ჩათვლით – 20 გვერდი; ფორმატი – 20X19.5სმ, ყდა: ბეჭდვა – ორმხრივად სრულფერიანი (4+4), ცარცი, გლუვი ცალმხრივი ლამინაცია, შერჩევითი ლაკი; ქაღალდი – 200გრ; შიდა – 170გრ ცარცი; ბეჭდვა CMYK-ის ფერებში 4+4; აკინძვა – სტეპლერით;	ცალი	120	5.25	630.00
4	ბროშურა BPO	ყდის ჩათვლით – 20 გვერდი; ფორმატი – 20X19.5სმ, ყდა: ბეჭდვა – ორმხრივად სრულფერიანი (4+4), ცარცი, გლუვი ცალმხრივი ლამინაცია, შერჩევითი ლაკი; ქაღალდი – 200გრ; შიდა – 170გრ ცარცი; ბეჭდვა CMYK-ის ფერებში 4+4; აკინძვა – სტეპლერით;	ცალი	120	5.25	630.00
5	ბროშურა Energy	ყდის ჩათვლით – 20 გვერდი; ფორმატი – 20X19.5სმ, ყდა: ბეჭდვა – ორმხრივად სრულფერიანი (4+4), ცარცი, გლუვი ცალმხრივი ლამინაცია, შერჩევითი ლაკი; ქაღალდი – 200გრ; შიდა – 170გრ ცარცი; ბეჭდვა CMYK-ის ფერებში 4+4; აკინძვა – სტეპლერით;	ცალი	120	5.25	630.00
6	ბროშურა Hospitality & Real Estate	ყდის ჩათვლით – 28 გვერდი; ფორმატი – 20X19.5სმ, ყდა: ბეჭდვა – ორმხრივად სრულფერიანი (4+4), ცარცი, გლუვი ცალმხრივი ლამინაცია, შერჩევითი ლაკი; ქაღალდი – 200გრ; შიდა – 170გრ ცარცი; ბეჭდვა CMYK-ის ფერებში 4+4; აკინძვა – სტეპლერით;	ცალი	120	6.50	780.00
7	ბროშურა Investment Proposal: Logistics	ყდის ჩათვლით – 20 გვერდი; ფორმატი – 20X19.5სმ,	ცალი	150	6.30	945.00

	Centres in East and West Georgia	ყდა: ბეჭდვა – ორმხრივად სრულფერიანი (4+4), ცარცი, გლუვი ცალმხრივი ლამინაცია, შერჩევითი ლაკი; ქაღალდი – 200გრ; შიდა – 170გრ ცარცი; ბეჭდვა CMYK-ის ფერებში 4+4; აკინძვა – სტეპლერით;				
			სულ (ცალი):	870	ჯამი:	5,325.00

„შემსყიდველი“
სსიპ „აწარმოე საქართველოში“

დირექტორი
მარიანა მორგოშია

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი
შპს „რიკო“

დირექტორი
ანდრო რაზმაძე

(ხელმოწერა)